სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080138832698919

№ 5379

30 / დეკემბერი / 2019 წ.

სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 26 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190005158 მომართვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სააგენტოსთვის გადაცემული და სააგენტოს კუთვნილი სამკურნალო საშუალებების ტრანსპორტირების, განბაჟების, შენახვისა და გაცემის მომსახურების, აგრეთვე სატვირთო-სატერმინალო მომსახურების და სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირების მომსახურების (CPV -63100000 - ტვირთის გადაზიდვისა და შენახვის მომსახურებები; 79700000 - გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვას, ღირებულებით, 170000 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული C ჰეპატიტის ელიმინაციის 2016-2020 წლების ეროვნულ სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, საქართველოში C ჰეპატიტი ფაქტობრივად აღმოიფხვრება. სახელმწიფო პროგრამის მიზანია, 4 წლის თავზე, C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 90% – გამოკვლეული, ხოლო დაავადებულთა 95% განკურნებული იყოს. ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმის მთლიანი ბიუჯეტი 116 მილიონ ლარს აჭარბებს, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან – 57 მილიონი ლარი დაიხარჯება; პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უსასყიდლოდ მიიღებს 15 მილიარდი (თხუთმეტი მილიარდი) აშშ დოლარის ღირებულების მედიკამენტებს. აღნიშნული მედიკამენტებით ფარმაცევტული კომპანია „გილეადი“ ქვეყანას უფასოდ ამარაგებს. ღონისძიებები ატარებს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ხასიათს, ვინაიდან, „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში წარმოებს სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მომსახურების მიწოდება საქართველოს მოქალაქეთათვის, რომლის მიზანია, საქართველოში C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, კომპანია „გილეადის“ მიერ მედიკამენტების მიწოდების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს საქონლის ტრანსპორტირება/შენახვის რეჟიმების მაქსიმალური უსაფრთხოება, რათა თავიდან იქნეს აცილებული უსასყიდლოდ გადმოცემული სამკურნალო საშუალებათა დაზიანება, განადგურება ან/და მათი გასხვისება (გაყიდვა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების გვერდის ავლის გზით). აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით, 2015 წელს, „პროგრამის“ დაწყების შემდგომ, შერჩეული იქნა შესაბამისი მომსახურების მიმწოდებლები,

რომელთაც აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება, როგორც სამკურნალო საშუალებების ტრანსპორტირების, განბაჟების, შენახვის, გაცემის, სატვირთო-სატერმინალო მომსახურების, ისე საქართველოს ტერიტორიაზე გადაადგილებისას, დაცვა-ესკორტირების (შეიარაღებული ბადრაგირება) კუთხით. ფარმაცევტული კომპანია „გილეადის“ მიერ ჩატარებული იქნა სათანადო მომსახურების, ასევე მომსახურების გაწევის ადგილების (საწყობი) შემოწმება/მონიტორინგი, რაც დადებითად იქნა შეფასებული. ამდენად, პროგრამის განხორციელებაში ახალი სუბიექტის მონაწილეობა მოითხოვს კომპანია „გილეადის“ მხრიდან ხელახალ შემოწმება/მონიტორინგს და მათი წარმომადგენლების მიერ ამა თუ იმ მიმწოდებლის უარყოფითმა შეფასებამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამის განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველ ორგანიზაციას მიზანშეწონილად მიაჩნია, მითითებული მომსახურებების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ გეგმავს სააგენტოსთვის გადაცემული და სააგენტოს კუთვნილი სამკურნალო საშუალებების ტრანსპორტირების, განბაჟების, შენახვისა და გაცემის მომსახურების, აგრეთვე სატვირთო-სატერმინალო მომსახურების და სამკურნალო საშუალებების დაცვა-ესკორტირების მომსახურების შესყიდვას.

ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ზემოხსენებული შესყიდვის ობიექტების შესასყიდად ელექტრონული ტენდერის ჩატარება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან პროგრამის განხორციელებაში ახალი სუბიექტის მონაწილეობა მოითხოვს კომპანია „გილეადის“ მხრიდან ხელახალი შემოწმება/მონიტორინგს და მათი წარმომადგენლების მიერ ამა თუ იმ მიმწოდებლის უარყოფითმა შეფასებამ, შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროგრამის განხორციელებას. ამასთან, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის 2020 წელს რეალიზების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

სააგენტო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებული პროცედურების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, აღნიშნული შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შეზღუდულ ვადებში. შესაბამისად, სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარებით შესყიდვის განხორციელების საჭიროება.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა, კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ SMP190005158 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით შესყიდვების დასადგენად მიმართოს საქართველოს მთავრობას.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.